საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნათბერის ციხე

კიკნათბერის ციხე, გვიანდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე საქართველოში, ქართლში, მდ. ტანის ხეობაში. სოფ. ბობნევთან (გორის მუნიციპალიტეტი) შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) კ. ც ს ახასიათებს როგორც მტკიცესა და მიუვალს. იგი სააკაძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა, გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სახასო გახდა.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

თ. ტატიშვილი